საქართველო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 7085/01
16/07/2019

7085-01-2-201907161744

შპს ,,საქართველოს გაზსაცავის კომპანიის''

დირექტორს ბატონ იმედა კახიანს

მის: თბილისი, 0190, კახეთის გზატკეცილი #21

ასლი: სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას

ბატონო იმედა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 20 ივნისის სკოპინგის განცხადება (სამინისტროს რეგისტრაციით N9008), რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტს.
გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას არ საჭიროებს ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც რეგულირდება შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობით.

ვინაიდან, წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში საცავის მოწყობის წინაპირობად განხილულია ორი საკვლევი ჭაბურღილის მოწყობა, რომლის შემდეგაც უნდა დადგინდეს აღნიშნულ ჭაბურღილებში გაზის ჩაჭირხვნის მიზანშეწონილობა, ხოლო საკვლევი ჭაბურღილების ბურღვა წარმოადგენს ნავთობისა და გაზის ოპერაციას, საკითხის დაზუსტების მიზნით, სამინისტრომ წერილობით მიმართა სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს (10.07.2019 N 6862/01). მიმდინარე წლის 15 ივლისს სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს მიერ წარმოდგენილი წერილობითი განმარტების (15.07.2019 N 05-186) თანახმად, შპს ,,საქართველოს გაზსაცავის კომპანიის'' მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშით გათვალისწინებული საქმიანობა, წარმოადგენს ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებულ საქმიანობას, რომელიც რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო წყვეტს სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

გთხოვთ, შესაბამისი პროცედურის გავლის მიზნით კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოთ სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე